



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 45

2018 წლის 29 ივნისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლისათვის „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა“ სახელის შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას შეეცვალოს სახელი და სკოლის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა“.
2. განკარგულება გაეგზავნოს სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ხადიმ ვარშანიძე